



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



1/258



11/07/2021

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განვითარების სტრატეგიის
(2021-2025) დამტკიცების შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განვითარების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №1/24 ბრძანების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს „ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განვითარების სტრატეგია (2021-2025)“, თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციას (დეპარტამენტი) დაევალოს ბრძანების ვებგვერდზე (info.police.ge) ოფიციალური წესით გამოქვეყნება.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებულ პირთათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისის, აღმაშენებლის ხეივანი №64).

მინისტრი
ვახტანგ გომელაური

MINISTRY OF
INTERNAL AFFAIRS



შინაგან საქმეთა
სამინისტრო

ანალიზზე დაფუძნებული საკოორდაციო საქმიანობის
განვითარების სტრატეგია
(2021-2025)

2021 წელი

სარჩევი

1.	ზოგადი მიმოხილვა	2
	სტრატეგიის მიზანი და ამოცანები	4
2.	არსებული სიტუაციის ანალიზი.....	5
	2.1 სამინისტროს ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელი დანაყოფების ორგანიზაციული მოწყობა	7
	2.2 ადამიანური რესურსი	10
	2.3 პროგრამული უზრუნველყოფა (მათ შორის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებები).....	12
	2.4 სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო.....	16
3.	ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დაწერვის მიზნით განსახორციელებელი ამოცანები.....	17
	3.1 სამინისტროში ანალიტიკური მიმართულებით არსებული ორგანიზაციული მოწყობის ოპტიმიზაცია.....	17
	3.1.1 ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დაწერვის პროცესში ჩართული დანაყოფების კოორდინაცია.....	22
	3.2 ანალიზზე დაფუძნებული საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების განვითარება	23
	3.3 პროგრამული უზრუნველყოფის (მათ შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების) განვითარება	29
	3.4 სამართლებრივი მარეგულირებელი ჩარჩო.....	31
4.	მონიტორინგი და შეფასება	31

1. ზოგადი მიმოხილვა

გლობალური მასშტაბით არსებული თანამედროვე და რთული კრიმინალური მოვლენების (მაგალითად, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, კიბერდანაშაული) ფონზე, შეზღუდული რესურსებისა და სამართალდამცავი სფეროს მიერ მოწოდებული სერვისებისადმი მოთხოვნილების ზრდის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, დანაშაულის ანალიზისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების მექანიზმების დანერგვა.

დამკვიდრებული ტრადიციული საპოლიციო საქმიანობის მოდელები ხასიათდება კრიმინალისადმი რეაქტიური მიდგომებით, რომელიც სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს თანამედროვე საფრთხეებზე და გამოწვევებზე ჯეროვან რეაგირებასა და საპოლიციო რესურსების სათანადო გადანაწილებას. ამასთან, პროაქტიური რეაგირების ნაკლებობა ავტომატურად ხელს უშლის დანაშაულის ხელშესახებ პრევენციას, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე საპოლიციო სამსახურების საქმიანობის უმთავრეს მიზანს. სწორედ აღნიშნულ გამოწვევებთან ეფექტიანი გამკლავების მიზნით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაერთიანებულ სამეფოსა და ევროკავშირის ქვეყნებში (მაგ.: ავსტრია, გერმანია) დაინერგა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის კონცეფცია (ILP), როგორც საპოლიციო მართვის პროაქტიური მოდელი.

„ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა“ (INTELLIGENCE - LED POLICING, შემდგომში - ILP) – წარმოადგენს საპოლიციო მართვის კონცეფციას, სადაც მონაცემებისა და დანაშაულის ანალიზი არსებითი ფაქტორია გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ე.წ მასობრივი დანაშაულის (ყველაზე ფართოდ გავრცელებული დანაშაულები) პრევენციას და შემდგომში მის აღკვეთას. ამასთან, ILP-ის ფარგლებში პოლიციის მოქმედება და მისი მხრიდან ყოველი ახალი დამატებითი რეგულირება ხორციელდება არა რეაქციულ რეჟიმში, (გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა და კანონის იმპერატიული მოთხოვნებისა) არამედ ხდება მისი ანალიზი და იგი ხორციელდება მხოლოდ მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების წინაპირობით.

მიუხედავად იმისა, რომ ანალიტიკური კომპონენტი ტრადიციული საპოლიციო საქმიანობის ფარგლებში ჩატარებული გამოძიების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ILP-ის შემთხვევაში, საპოლიციო ანალიტიკას დამატებითი დატვირთვა გააჩნია და იგი კომპლექსური დანაშაულების ეფექტიან გამოძიებასთან ერთად, ემსახურება საპოლიციო რესურსების მაქსიმალურად სარგებლიან მართვას, როგორც უკვე მომხდარ დანაშაულზე რეაგირების პროცესში, ასევე, პოლიციის პრევენციული მანდატის ფარგლებში.

ILP-ის მეთოდოლოგიის მიხედვით, პოლიციისა და საპოლიციო რესურსების მართვისას მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტები უმეტესად ეფუძნება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების ანალიზს (მათ შორის, უმთავრესია დანაშაულის ტენდენციების, ცხელი წერტილებისა და კონკრეტული ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების ანალიზი).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ILP მნიშვნელოვნად აძლიერებს სამართალდამცავთა შესაძლებლობებს და ხელს უწყობს დანაშაულის პრევენციასა და შემცირებას. ILP-ის სრულყოფილი დანერგვა მოითხოვს მიზანდასახულ და მომზადებულ პროფესიონალებს, შესაბამის მონაცემთა ბაზებს და გამართულ პროგრამულ უზრუნველყოფას, ასევე, მყარ სამართლებრივ/ორგანიზაციულ ჩარჩოებს და, რაც ყველაზე მთავარია, მენეჯმენტის სტრატეგიულ გადაწყვეტილებას ILP-ის ყოველდღიური საპოლიციო საქმიანობის განუყოფელ ნაწილად ქცევის თაობაზე. წინამდებარე სტრატეგია, უახლოეს წარსულში

შემუშავებულ სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად, ადასტურებს ამ ტიპის მზაობასა და გადაწყვეტილებას სამინისტროს მხრიდან.

ILP-ის ეფექტიანობა სრულად დამოკიდებულია სამართალდამცავ ორგანოში შექმნილი ანალიტიკური პროდუქტის ხარისხზე და მის მართებულად გამოყენებაზე. დროული სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელია სწორი ანალიტიკა და აღნიშნული ინფორმაციის ეფექტიანი მიწოდება შესაბამისი უფლებამოსილი მოსამსახურეებისთვის.

იმის გათვალისწინებით, რომ ე.წ. ანალიტიკური ციკლი ILP-ის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს (ძირითადად, მთელი ორგანიზაციის მასშტაბით დაუმუშავებელი ინფორმაციისა და მონაცემების ანალიტიკურ მასალად (intelligence) ქცევისა და მისი ჯეროვანი გაზიარების პროცესს მოიაზრებს), არსებული სიტუაციის შეფასების მიზნით, უნდა განხორციელდეს მოქმედი ანალიტიკური ჩარჩოს სათანადო გადახედვა ტექნიკურ (ტექნიკური სპეციფიკაციები), ფუნქციურ (ავტომატიზებული პროცედურები) და ლოგიკურ (დავალების მოდელირება) დონეზე, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საბაზო IT ინფრასტრუქტურას, ანუ სისტემის არქიტექტურასა და ინფორმაციის ნაკადს.

ILP-ის დანერგვისათვის საჭირო ნებისმიერი კომპონენტი, მათ შორის, ფინანსური ინვესტიციის საჭიროება, საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და დაფუძნებული ILP-ის შემუშავებისა და განხორციელების მკაფიო გეგმაზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სამინისტროს საჭიროებები და სპეციფიკა. გარდა ამისა, ILP მეთოდოლოგიის განხორციელების მეშვეობით მაქსიმალური სარგებლის მიღებისათვის, აუცილებელია აღნიშნულ პროცესში ჩართული მოსამსახურეების ცნობიერების მაღალი დონის უზრუნველყოფა დასახელებულ საკითხებზე.

მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ანალიტიკური ციკლი:



დიაგრამა 1: (აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის იუსტიციის პროგრამების ოფისი; გამოცემულია 2003 წლის ოქტომბერში)

ILP ეყრდნობა თანამშრომლობასა და კოორდინაციას, რომელიც იწყება საჭიროებების კვლევით და დაგეგმვით, გრძელდება ინფორმაციის შეგროვებითა და მოძიებით, დამუშავება-ანალიტიკით, ხოლო საბოლოო ეტაპზე სრულდება მიღებული ანალიტიკური მასალის პრაქტიკაში რეალიზებით და მისი შედეგების თავდაპირველ მიზნებთან შედარებით. აღნიშნული ციკლი ხელს უწყობს ხელმძღვანელი რგოლის მხრიდან ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რომელიც დაკავშირებულია საპოლიციო რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებასთან, ტაქტიკური ოპერაციების სწორად წარმართვასთან და სხვა სტრატეგიულ საკითხებთან.

სტრატეგიის მიზანი და ამოცანები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების სტრატეგიის მთავარი მიზანია დანაშაულის პრევენციისა და მასზე რეაგირების გაუმჯობესება, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს დანაშაულის შემცირებას.

ზემოაღნიშნული მიზნის განხორციელებისთვის საჭიროა შესრულდეს შემდეგი ამოცანები:

სამინისტროში ანალიტიკური მიმართულებით არსებული ორგანიზაციული მოწყობის ოპტიმიზაცია;

ანალიზზე დაფუძნებული საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების განვითარება;

პროგრამული უზრუნველყოფის (მათ შორის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების) განვითარება;

შესაბამისი სამართლებრივი მარეგულირებელი ჩარჩოს ჩამოყალიბება.

ILP მოდელის წარმატებულად განხორციელების შედეგად:

გაუმჯობესდება სისტემაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და პოლიციის საქმიანობისთვის საჭირო მკაფიო მიზნების განსაზღვრის პროცესი;

შეიქმნება დანაყოფებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობისა და ინფორმაციის მიმოცვლის გაუმჯობესებული მექანიზმი;

გაუმჯობესდება კოორდინაციისა და მართვის/მენეჯმენტის დონე ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე;

ამაღლდება ოპერატიული საქმიანობისა და გამოძიების ხარისხი;

გამარტივდება შედეგებზე ორიენტირებული ტაქტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრა;

გამდიერდება დანაშაულის მიმართ პრევენციული მიდგომა;

შემცირდება დანაშაული;

მოხდება ადამიანური რესურსის ოპტიმიზაცია/დაზოგვა - რესურსების ოპტიმალური გადანაწილების ხარჯზე, პოლიციის საქმიანობა იქნება უფრო მდგრადი.

2. არსებული სიტუაციის ანალიზი

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პოლიციის რეფორმირების კუთხით, რომლის მიზანია საქართველოში არსებული საპოლიციო საქმიანობის მაქსიმალური მისადაგება ევროპულ სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან.

სამინისტროში ILP-ის ეროვნულ მოდელზე მუშაობა და მოდელის დანერგვის მიზნით აქტივობები 2015 წლიდან ეტაპობრივად ხორციელდება. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) 2015 წლის 22 ოქტომბრის №806 ბრძანებით დამტკიცდა „ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის კონცეფცია“, რომლის თანახმად, მოდელის დანერგვის უმთავრეს მიზანს ინფორმაციის მართვისა და ანალიზის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს. მოდელის მიზანია, მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში როგორც ოპერატიულ-ტაქტიკურ, ასევე სტრატეგიულ დონეზე არსებული ვითარების სწორად შეფასება, პრობლემების იდენტიფიცირება და პრიორიტეტიზაცია, პრობლემების გადაწყვეტის სტრატეგიის განსაზღვრა და რეკომენდაციების შემუშავება.

კონცეფციის სრულყოფილად და ეფექტიანად დანერგვის უზრუნველსაყოფად, მინისტრის 2016 წლის 22 აგვისტოს №458 ბრძანების¹ შესაბამისად, ILP-ის საპილოტე პროგრამა 2016 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ამოქმედდა. საპილოტე პროგრამაში ჩაერთო სამინისტროს სამი ტერიტორიული ორგანო და სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი ერთეულები, რომლებსაც ანალიტიკოსის ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად, მოსამსახურეთა შრომითი ხელშეკრულებით სამსახურში მიღება ან/და დანაყოფის მოქმედი მოსამსახურისათვის ანალიტიკოსის მოვალეობის დაკისრება დაევალა.

ანალიტიკოსის ფუნქცია-მოვალეობის შესასრულებლად, სამინისტროს მოქმედი თანამშრომლებისა და სამინისტროს აკადემიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებიდან შერჩეულმა კადრებმა, სამინისტროს აკადემიაში გაიარეს ანალიტიკოსთა მომზადების მოკლევადიანი სასწავლო კურსი.

ზემოაღნიშნულ კონცეფციაში ასახული ხედვების პრაქტიკაში რეალიზების მიზნით, ავსტრიის ფედერალური პოლიციის ექსპერტების ჯგუფის მიერ 2016 წელს შეფასდა სამინისტროში დანაშაულის ანალიტიკის კუთხით არსებული სიტუაცია და დაიდენტიფიცირებული გამოწვევების საპასუხოდ, შემუშავდა ზოგადი რეკომენდაციები.

ხსენებული რეკომენდაციების ეტაპობრივი შესრულების მიზნით, 2017 წლიდან, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, ჩატარდა მთელი რიგი სემინარები და განხორციელდა სასწავლო ვიზიტები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, ILP-ის იმპლემენტაციაში ჩართულ სამინისტროს მოსამსახურეთა ცოდნის ამაღლებისა და, საბოლოო ჯამში, ევროპული საუკეთესო პრაქტიკის ქართულ რეალობაში წარმატებით დანერგვის მიზნით.

ამასთან, საპილოტე პროგრამის ფარგლებში დანერგილ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს ინციდენტების აღრიცხვის ერთიანი ელექტრონული სისტემა (ePolice) წარმოადგენდა. სისტემის დანიშნულება რეალურ დროში ინციდენტების შესახებ ინფორმაციის (სახეობა,

¹ „ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამის იმპლემენტაციისათვის საჭირო ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 22 აგვისტოს №458 ბრძანება

ადგილი, მონაწილე პირები და სხვ.) ასახვაში მდგომარეობდა. იგი მოიცავდა ფუნქციონალურად სამ ქვესისტემას - ინციდენტზე რეაგირების მობილური აპლიკაცია, ინციდენტის რეგისტრაციის ვებსისტემა და ანალიტიკური რუკა.

ასევე, საპილოტე პროგრამის შედეგების შეფასების შემდგომ, 2019 წელს, ქ. თბილისის და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტში, შეიქმნა ანალიტიკოსის საშტატო ერთეული და შესაბამისი საკადრო ცვლილებები განხორციელდა (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ILP-ის იმპლემენტაცია წამოადგენს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში, კერძოდ, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას, სადაც პირდაპირ მითითებულია ILP-ის წარმატებით დანერგვა, როგორც თავისუფალი სავიზო რეჟიმის შენარჩუნების წინაპირობა და, ამასთან, აღნიშნული საპოლიციო მართვის მოდელი განხილულია ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებთან ბრძოლის აუცილებელ ინსტრუმენტად.

გარდა VLAP-ით დაკისრებული ვალდებულებებისა, ILP-ის ეფექტიანი დანერგვის საჭიროება განსაკუთრებით აღსანიშნავია სამინისტროსა და ევროპის პოლიციის სამსახურს (EUROPOL) შორის თანამშრომლობის გაღრმავების პროცესში, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველომ, 2017 წელს, აღნიშნულ ორგანიზაციასთან გააფორმა შეთანხმება ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის თაობაზე. იმავე წელს, საქართველო გაწევრიანდა EUROPOL-ის 2 ანალიტიკურ პროექტში: 1) საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჯგუფი, ე.წ. ფურტუმი; 2) აღმოსავლეთ ევროპული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ანალიტიკური ჯგუფი - EEOC.

2019 წლის აპრილის ბოლოს საქართველო ოფიციალურად შეუერთდა ევროპოლის უსაფრთხო კომუნიკაციის არხს "SIENA".

მოცემული სამართლებრივი ჩარჩო, EUROPOL-თან ურთიერთობის სპეციფიკა და ფორმატი (მაგალითად, ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფები - JIT), საჭიროს ხდის ქართველ სამართალდამცავთა მიერ, საკონტროლო მაჩვენებლების აღნიშნული ორგანიზაციის პრაქტიკულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. EUROPOL-ი მუდმივად აანალიზებს კრიმინოგენური კუთხით არსებულ ფართო სურათს მისი დაფარვის გეოგრაფიულ არეალში, რაც თანხვედრაშია ILP-ის ერთ-ერთ მიზანთან და გულისხმობს სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებას საფრთხეებისა და რისკების უნიფიცირებული სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრისათვის. EUROPOL-ის აღნიშნული მიდგომის ფარგლებში მუშავდება დანაშაულებრივი საფრთხეების შეფასებისა და ანალიტიკის ისეთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, როგორიცაა: SOCTA (Serious and Organized Crime Threat Assessment) და IOCTA (Internet Organized Crime Threat Assessment).

როგორც აღინიშნა, „ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის კონცეფცია“ იყო პირველი ნაბიჯი ILP-ის რეფორმის მიმართულებით სამინისტროს სისტემაში, რომელიც არსებული რეალობის გათვალისწინებით აღარ არის რელევანტური იმდენად, რამდენადაც დოკუმენტით განსაზღვრული ILP-ის განსახორციელებლად საჭირო საბაზისო მოთხოვნები სამინისტროს საპოლიციო პრაქტიკაში უკვე დაინერგა (მათ შორის, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელსაც უფლებამოსილი მოსამსახურეები აქტიურად იყენებენ). შესაბამისად, მოცემულ ვითარებაში საჭიროა უკვე დანერგილი ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ამჟამად განვითარების ადრეულ ეტაპზე) დამატებითი სისტემური განვითარების დოკუმენტების შემუშავება, რომელსაც წარმოადგენს წინამდებარე სტრატეგია.

სამინისტროს სისტემაში ILP-ის განვითარების მიზნით, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განვითარების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №1/24 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევა ILP რეფორმის სისტემატიზაცია, ამ კუთხით კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა და მათი შესრულების კოორდინაცია/მონიტორინგი. სამუშაო ჯგუფის ფუნქციონალური მანდატის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ მასში ჩართული იყვნენ ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის წარმომადგენლები, რაც გამომდინარეობს სამინისტროს ხედვიდან, რომელიც მოიაზრებს ევროკავშირის საუკეთესო საპოლიციო მოდელებისა და გამოცდილების გაზიარებას. ამრიგად, სამინისტრომ მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება და რეფორმის სრულ პროცესში, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ექსპერტები სრულყოფილებიან წევრებად განსაზღვრა, რათა ზემოაღნიშნული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება მოხდეს უწყვეტად, ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე და არა post factum შეფასების ფორმით, რომელიც ამ მასშტაბისა და განზომილების მქონე რეფორმის ფარგლებში ვერ იქნებოდა ეფექტიანი მექანიზმი ქართულ საპოლიციო სექტორში ევროკავშირის მიდგომების ჯეროვანი დანერგვის კუთხით.

2.1 სამინისტროს ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელი დანაყოფების ორგანიზაციული მოწყობა

სამინისტროში ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტებს წარმოადგენენ:

საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი: საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის შესაბამისი დანაყოფები, დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელი არიან სტრატეგიული ანალიზის წარმოებაზე, სამინისტროში ანალიტიკური საქმიანობის კოორდინაციასა და მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობაზე. საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ILP-ის დანერგვის ორგანიზება, კოორდინირება, სისტემის ანალიტიკური საქმიანობის მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა. დეპარტამენტის შემადგენლობაში შემავალი ანალიტიკური სამმართველო, სტრატეგიულ დონეზე აფასებს ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ ვითარებას, კრიმინალთან ბრძოლის კუთხით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. აღნიშნული მოიცავს პრიორიტეტულად განსაზღვრული დანაშაულების მიმდინარე რეჟიმში დამუშავებასა და რეგიონებში არსებული კრიმინოგენური ვითარების შეფასებას, რის შედეგადაც მზადდება საინფორმაციო და ანალიტიკური ბარათები.

საკატრულო პოლიციის დეპარტამენტი: საკატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს შემადგენლობაში შედის ანალიტიკური განყოფილება, რომლის კომპეტენციას მიეკუთვნება ქვეყნის ტერიტორიაზე მომხდარ, დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ დანაშაულთა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა აღრიცხვა და ანალიზი, სტრუქტურული ერთეულების მიერ გამოვლენილი და განხილული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტისთვის მიწოდების უზრუნველყოფა. დეპარტამენტში ასევე ფუნქციონირებს საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველო, რომელიც პასუხისმგებელია სასაზღვრო გამტარ პუნქტებთან დაკავშირებული რისკების

მართვასა და ანალიზზე, რისკებთან დაკავშირებული მოვლენების განვითარების პროგნოზირებაზე და პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემაზე.

სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია: სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ანალიტიკური სამმართველოს საქმიანობა მოიცავს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებასა და ანალიზს. ასევე, სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლსა და ზონაში, საზღვაო სივრცესა და საზღვრისპირა რეგიონებში არსებული ვითარების შესწავლას, ღია წყაროების დამუშავებას, სახელმწიფო საზღვარზე რისკების იდენტიფიცირებას და შეფასებას, არსებული ტენდენციების განსაზღვრას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. მის კომპეტენციას, ასევე მიეკუთვნება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე, თემატური კვლევების განხორციელება და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი: დეპარტამენტში ფუნქციონირებს მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის სამმართველო, რომელშიც შედის ანალიტიკური განყოფილება. მისი ფუნქციებია: სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ქვეყანაში რეგისტრირებული დანაშაულის შესახებ ანალიტიკური ცნობებისა და ანგარიშების მომზადება, მათი დინამიკისა და სტრუქტურის ძირითადი ტენდენციების განზოგადება; ქვეყანაში სხვადასხვა სახის დანაშაულის მიერ გამოწვეული საფრთხეებისა და რისკების შეფასება და ანალიზი; დეპარტამენტის ამოცანებითა და კომპეტენციით განსაზღვრული ანალიტიკური და ოპერატიული ბაზების წარმოება; ტერიტორიული ორგანოებიდან მოწოდებული მონაცემების საფუძველზე რეგისტრირებული დანაშაულის შესახებ ყოველთვიური ცნობებისა და პრეზენტაციების მომზადება და ხელმძღვანელობისთვის წარდგენა; ტერიტორიულ დანაყოფებში რეგისტრირებული მკვლელობისა და ყაჩაღობის ფაქტების შესახებ სპეციალური ანკეტების შესაბამის ბაზებში შეყვანა და აღნიშნული დანაშაულების შესახებ კვარტალური ანგარიშების მომზადება; საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და მთავრობის დადგენილებით ნაკისრი ვალდებულებების სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში შესრულების ანგარიშების მომზადება; გასული დღე-ღამის განმავლობაში მომხდარი განსაკუთრებით მძიმე და რეზონანსული დანაშაულების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის ყოველდღიური მოპოვება და ხელმძღვანელობისთვის მოხსენება.

ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი: სამინისტროში მიმდინარე სისტემური განახლებებისა და პოლიციის რეფორმის ფარგლებში, ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად საგამომიებო და ოპერატიული საქმიანობის მკაფიო გამიჯვნის აუცილებლობა განისაზღვრა. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში, სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში გამოძიებლების, დეტექტივების, მართლწესრიგის ოფიცრების და ანალიტიკოსების საშტატო ერთეულები შეიქმნა. დეპარტამენტის ფარგლებში, ანალიტიკურ საქმიანობას ახორციელებს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველო და, ასევე, დეტექტივების მთავარი სამმართველოს დაქვემდებარებაშია სამი ანალიტიკოსი.

დეპარტამენტის ტერიტორიულ ერთეულებში² ანალიტიკოსის ფუნქცია-მოვალეობის შესრულების უზრუნველსაყოფად, 2019 წლის 19 თებერვალს მინისტრის №437748

² სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიული ერთეული

ბრძანებით სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნა ანალიტიკოსის სამტატო ერთეული. ამასთან, მინისტრის 2019 წლის 13 დეკემბრის №102 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლების, დეტექტივ-გამომძიებლების, დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლების, დეტექტივების, უბნის ინსპექტორების, მართლწესრიგის ოფიცრებისა და ანალიტიკოსების საქმიანობის წესი“. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის თანახმად, ანალიტიკოსი არის სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურე, რომელიც ახორციელებს ტერიტორიული ორგანოს საპოლიციო საქმიანობის საინფორმაციო-ანალიტიკურ მხარდაჭერას. შესაბამისად, დეპარტამენტის თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში, შტატით განსაზღვრულია უშუალოდ ტერიტორიული ერთეულის მენეჯმენტს დაქვემდებარებული, ანალიტიკოსის ფუნქცია-მოვალეობის შემსრულებელი პირი.

დანაშაულის ეფექტიანი პრევენციის მიზნით, სამინისტროში დაიწყო საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვა. სამინისტროში მიღებული სტრუქტურულ-ორგანიზაციული გადაწყვეტილებების შედეგად შეიქმნა საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განმახორციელებელი სპეციალიზებული სამტატო ერთეული - მართლწესრიგის ოფიცერი, რომელსაც სწორედ პრობლემის გამომწვევი მიზეზების კომპლექსური ანალიზის გზით, დაეკისრა დანაშაულის აღკვეთა/პრევენცია და მართლწესრიგის დაცვა. აღსანიშნავია, რომ მინისტრის 2020 წლის 4 ნოემბრის №1/422 და №1/423 ბრძანებებით დამტკიცდა საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგია და, შესაბამისი, 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგიაში ხაზგასმით აღინიშნა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტი: 2019 წელს მინისტრის ბრძანებით სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნა ანალიტიკოსის სამტატო ერთეული. დეპარტამენტში, დეტექტივების სამმართველოში, ანალიტიკური მიმართულებით მუშაობს 2 ანალიტიკოსი, ხოლო დეპარტამენტის 6 ტერიტორიულ ერთეულში (სამმართველო) - 6 ანალიტიკოსი. მინისტრის ბრძანებით ანალიტიკოსის სამტატო ერთეულის შექმნის მიუხედავად, დეპარტამენტში ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელ ერთეულს, დეპარტამენტის დებულების მიხედვით, უბნის ინსპექტორების სამმართველო წარმოადგენს, რომლის კომპეტენციაში შედის: სხვადასხვა საინფორმაციო ბაზის შექმნა და გამოყენება; დანაშაულთა სტატისტიკა და ანალიზი; სამოქმედო ტერიტორიაზე ოპერატიული ვითარების ანალიზი და რეაგირებისათვის ღონისძიებების შემუშავება.

ILP-ის იმპლემენტაცია საქართველოში ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. შესაბამისად, სამინისტროსთვის ამ მექანიზმის დანერგვის საჭიროება პრიორიტეტულია. სამინისტროში არსებობს ცენტრალიზებული მოწყობის შესაბამისი დონე, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილებების დროულ მიღებას ILP-ის ეფექტიანად განხორციელებისთვის. ასევე, პროცესის წარმატებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ არის ინფორმაციის შეგროვებისა და მართვის ძლიერი კომპონენტი, იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრი წარმოადგენს ILP-ის ანალიტიკური კომპონენტისთვის საჭირო მნიშვნელოვან (თუმცა, ამ მომენტისთვის არასრული) მონაცემების შემგროვებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფს (საგზაო ინციდენტები, შეტყობინებები, ვიდეო კამერის

ჩანაწერები და ა.შ.), რომლის სისტემატიზაციაც შესაძლებელია სამინისტროში არსებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემების გამოყენებით. სისტემატიზებული მონაცემები კი, სამინისტროს რესურსების ეფექტიანი მართვის მიზნებისთვის მთავარი კომპონენტია და, ასევე, მას საკვანძო მნიშვნელობა გააჩნია დანაშაულის ტენდენციების ემპირიული კვლევების პროცესში.

იმის გათვალისწინებით, რომ სამინისტრო ლეგიტიმურად აგროვებს და ფლობს დიდი რაოდენობით ინფორმაციას, მათ შორის, პერსონალურ მონაცემებს, უწყებას ეკისრება განსაკუთრებული ვალდებულება ამ ტიპის ინფორმაციის სათანადო დამუშავება-დაცვის კუთხით. აღნიშნული მიზნებისთვის, სამინისტროს სისტემაში შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სპეციალიზებული დანაყოფი, რაც მნიშვნელოვანი გარანტიაა სხვადასხვა ინფორმაციული აქტივების დაცულობის პროცესში.

თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტებთან ერთად, ასევე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დასახვეწია არსებული ცენტრალიზებული ანალიზის სისტემა, რადგან ამ ეტაპზე არ არსებობს რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე ინფორმაციის უწყვეტი მიმოცვლის, შეჯერებისა და მუდმივი განახლების ერთიანი ეფექტიანი სისტემა. გასაუმჯობესებელია სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად ინფორმაციის გაცვლის მექანიზმი. არ არსებობს სტანდარტიზებული წესები ანალიტიკური პროდუქტების კლასიფიკაციის, განაწილებისა და გამოყენების შესახებ, ხოლო ინფორმაციის გაცვლა სამინისტროს სისტემის შესაბამის დანაყოფებს შორის ხორციელდება არაორგანიზებულად (ხშირ შემთხვევაში ad hoc დავალებების/მოთხოვნების საფუძველზე). პრობლემათა ჯაჭვიდან არსებითია ანალიტიკური პროდუქტების პრაქტიკაში გამოყენების სიმწირე იმის გათვალისწინებით, რომ, ერთი მხრივ, ILP მოდელი საქართველოს საპოლიციო სისტემისთვის ნოვაციაა და იმყოფება განვითარების საწყის ეტაპზე, ხოლო, მეორე მხრივ, ეს მოდელი არ არის დანერგული სამინისტროს სისტემის ყველა შესაბამის დანაყოფში.

სამინისტრო სრულად აცნობიერებს, რომ მთელ რიგ შესაძლებლობებთან ერთად, ხსენებულ პროცესს თან ახლავს, აგრეთვე, მნიშვნელოვანი რისკები და გამოწვევები, როგორც ორგანიზაციული მოწყობის, ისე ადამიანური რესურსების ეფექტიანი განაწილების კუთხით.

2.2 ადამიანური რესურსი

სამინისტროში ხელმისაწვდომია კვალიფიციური IT პერსონალი (თუმცა, შეზღუდული რაოდენობით), რომელსაც შეუძლია შეიმუშაოს საკუთარი სპეციალიზებული ტექნოლოგიური გადაწყვეტები, მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა და ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა გარკვეულწილად სხვა სახელმწიფო უწყების კომპეტენციაშიც შედის (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო).

რეფორმის წარმატების ხელშემწყობ გარემოებას, ასევე, წარმოადგენს ფაქტი, რომ ამჟამად, სამინისტროს მასშტაბით, არსებობს მნიშვნელოვანი რაოდენობის ადამიანური რესურსი, იმისათვის, რომ კონკრეტულმა მოსამსახურეებმა განახორციელონ ანალიტიკური საქმიანობა. ამასთან, არსებობს სამინისტროს მოსამსახურეების სათანადო მზაობა და სურვილი სამინისტროს ანალიტიკურ საქმიანობაში (მათ შორის ცალკეულ პროექტებში) თანამშრომლობის კუთხით.

უკანასკნელ პერიოდში, სამინისტროს სისტემაში მოწესრიგდა ანალიტიკოსთა სამართლებრივი მდგომარეობა. უფრო კონკრეტულად კი, შესაბამის დანაყოფებში შტატგარეშე მოსამსახურეებად დასაქმებული ანალიტიკოსებისათვის შეიქმნა შტატით გათვალისწინებული თანამდებობები და მათ მიენიჭათ პოლიციის ოფიცრის სპეციალური წოდება. რაც შეეხება ანალიტიკოსთა გადამზადებას, არსებობს სამინისტროს შესაბამისი პერსონალისათვის უცხოური საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა, მათ შორის, ევროპოლის ანალიტიკურ სამუშაო ჯგუფებში ჩართულობის გზით.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს სხვადასხვა ფაქტორი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს და აფერხებს რეფორმის წარმატებით განხორციელების პროცესს. ამ გარემოებებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საშუალო და დაბალი რგოლის მენეჯერთა ცნობიერების არასაკმარისი დონე ILP-ის თაობაზე და კვალიფიციური ანალიტიკოსების მცირე რაოდენობა.

მიუხედავად იმისა, რომ უახლოეს პერსპექტივაში ქართული მხარის მიერ ობიექტურად შეუძლებელია ამ კუთხით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პრაქტიკის სრული მასშტაბით გაზიარება, ქვემოთ აღნიშნული საკონტროლო მაჩვენებელი სამინისტროსთვის წარმოადგენს ერთგვარ გრძელვადიან მიზანს, რომლის საბოლოოდ მიღწევა კიდევ უფრო დაახლოებს ქართულ საპოლიციო მოდელს ამ მიმართულებით არსებულ ევროკავშირის საუკეთესო სისტემებთან. ხსენებული მოდელის მიხედვით, ანალიტიკოსთა რაოდენობა უნდა იყოს უშუალოდ საპოლიციო საქმიანობის განმახორციელებელ მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 5-10%, ხოლო საქართველოში, კონკრეტულად კი თბილისში, აღნიშნული მაჩვენებელი უტოლდება 0.4%-ს და შიდა ქართლში - 1.1%-ს.

ხსენებულ პრობლემას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ ანალიტიკოსთა დასაქმების, შერჩევის და გადამზადების პროცესები არასაკმარისად არის განსაზღვრული და რეგულირებული - ყველა დანაყოფში არ არსებობს დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და მოსამსახურეთა ფუნქცია-მოვალეობების განმსაზღვრელი დეტალური დოკუმენტები.

გარდა ამისა, არსებულ ანალიტიკოსთა რესურსი ძირითადად გამოყენებულია კონკრეტული სიტუაციური ანალიზისა ან/და საგამომიებო-საოპერაციო მხარდაჭერისთვის. ამასთან, ამ ეტაპზე, აღსანიშნავია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების პრაქტიკაში გამოყენების სირთულე, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული ინსტრუმენტები გონივრული ბალანსის დარღვევით, ძირითადად არის სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს გამგებლობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარსულში მოცემული საკითხის ამგვარ გადაწყვეტას გააჩნდა მნიშვნელოვანი რაციონალი.

ხსენებულ პრობლემაზე ჯეროვანი რეაგირების მიზნით, სამინისტრომ ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის უშუალო ჩართულობით, შეიმუშავა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების პროექტი, რომელიც მკაცრად მიჯნავს პროკურორისა და გამომძიებლის კომპეტენციებს ამ მიმართულებით. შესაბამისად, უახლოეს პერიოდში აღნიშნული გამოწვევა დიდწილად დაბალანსდება ხსენებული საკანონმდებლო ცვლილებებით.

ამასთან, არსებობს მოლოდინი, რომ კრიმინალური სტატისტიკური მაჩვენებლების საპასუხოდ, საპოლიციო საქმიანობის არსებული ფორმიდან გამომდინარე, მოხდეს ანალიტიკური რესურსის დიდი ნაწილის შთანთქმა. არასაკმარისი ფინანსური რესურსისა

და სამუშაო დატვირთულობის გამო, ასევე, მოსალოდნელია შესაძლებლობების გაზრდისთვის საჭირო ღონისძიებების შემცირება. გარდა ამისა, სხვადასხვა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემცირდეს აღჭურვილობის ან/და პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი.

2.3 პროგრამული უზრუნველყოფა (მათ შორის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებები)

ILP მოდელის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კომპონენტია საჭიროებებზე მორგებული თანამედროვე ტექნოლოგიები. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ არსებული პროგრამულ-ტექნიკური და საინფორმაციო-ტექნოლოგიური (IT) სისტემები გამართულია და მნიშვნელოვანი ხარვეზების გარეშე ფუნქციონირებს. ILP-ის ეფექტიანად განხორციელებისათვის სამინისტროს მიერ შემუშავებული ან/და დანერგილია სხვადასხვა სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა, მათ შორის:



საინფორმაციო ცენტრის საძიებო პორტალი

info.pol.ge

✓ პირის კრიმინალური პროფილი

მოდული პირის ყველა კრიმინალური მაჩვენებლის ერთიანად ასახვის შესაძლებლობას იძლევა, სადაც ასევე მითითებული იქნება კრიმინალური პროფილის სიმძიმის განმსაზღვრელი პროცენტული ინდიკატორი.

✓ სახის ამოცნობის სისტემა (Face Recognition)

სამინისტროს საჭიროებების მიხედვით მოდიფიცირებული და შიდა საინფორმაციო პორტალზე ჩაშენებულია სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის სახის ამოცნობა-იდენტიფიკაციის ინსტრუმენტი POLYFACE, სადაც შესაბამისი ნორმატიული რეგლამენტაციის საფუძველზე, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება როგორც ფოტოსურათიდან, ასევე ვიდეო ფაილიდან.

✓ ობიექტებს შორის კავშირი

მონაცემთა ბაზების გრაფიკული ტექნოლოგიით სტრუქტურირებისა და მართვის სისტემის Neo4j გამოყენებით შესაძლებელია საინფორმაციო მასივებში დაცულ ობიექტებს შორის შესაძლო ურთიერთკავშირის დადგენა:

მაგალითად:

პირის იდენტიფიცირება მის შესახებ ცნობილი დისკრეტული მონაცემების საფუძველზე (მიახლოებითი ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალება და ა.შ.);

ასევე, ორ და მეტ პირს ან ობიექტს შორის კავშირის დადგენა;

თაღლითური სქემების გამოვლენა (საეჭვო, არაორდინალური ცდომილებების წინასწარი გამოვლენა და შეტყობინების შესაძლებლობა).

✓ პირთა საინფორმაციო-საცნობარო სისტემა

სისტემა შესაძლებლობას იძლევა, რეგისტრირებული ინფორმაციის საფუძველზე პირის მოძიება განხორციელდეს სხვადასხვა პარამეტრის გამოყენებით, როგორებიცაა: პირთან დაკავშირებული მისამართები, პირთან დაკავშირებული სატრანსპორტო საშუალება და ა.შ.



ინციდენტების და ობიექტების ინტერაქტიური რუკა

maps.pol.ge

✓ პირთა გადამოწმება-იდენტიფიკაციის ავტომატიზებული ინსტრუმენტი

სახის ამოცნობის სისტემის (face recognition) გამოყენებით შექმნილია შესაბამისი საპოლიციო სამსახურების მიერ პირთა გადამოწმების საშედეგო აღრიცხვის რეესტრი, სადაც ფოტოსურათის გამოყენებით, დინამიურ რეჟიმში, შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება და მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაციის ვიზუალიზაცია, ასევე, გადამოწმების ლოკაციის დაფიქსირება და დამატებითი რეკვიზიტების (ატრიბუტების) რეგისტრაცია.

✓ „ქურდული სამყაროსა“ და სხვა კრიმინალური ჯგუფის წევრების და მათი დანაშაულებრივი საქმიანობის რეესტრი

✓ გარე სამეთვალყურეო კამერებით მოდელირებული მონიტორინგის სისტემა

შექმნილი და დანერგილია გარე სამეთვალყურეო კამერების მიერ სატრანსპორტო საშუალებების სანომრე ნიშნებით დაფიქსირება/ამოცნობის ლოკაციების მიხედვით გადაადგილების მარშრუტის განსაზღვრისა და ძიების სისტემა (ორმაგი ინდიკაციით - ცხრილისა და რუკის სახით).

✓ პროგრამული უზრუნველყოფა მართლწესრიგის ოფიცრებისათვის

მონაცემების ადგილზე შევსებისა და ერთიანი ელექტრონული სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ, უზრუნველყოფილია რეგისტრირებული ინფორმაციის თავმოყრა თითოეული ოფიცრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ობიექტების შესახებ.



სტატისტიკის ინტერაქტიური მოდული

stats.pol.ge

✓ სტატისტიკური მონაცემების დინამიური ინტერაქცია

დანერგილია სტატისტიკური მონაცემების დინამიური ინტერაქცია შიდა გამოყენებისათვის, პერსონიფიცირებული მონაცემების ჩათვლით (მაგ: ცალკეულ რაიონში რეგისტრირებული იარაღის, სატრანსპორტო საშუალების და ა.შ. მფლობელთა რაოდენობა და სია, კონკრეტულ მონაკვეთში სახელმწიფო საზღვრის კვეთის სია და სხვ.). ასევე, აღნიშნული პროგრამა, ინფორმაციის საერთო სივრცეში

თავმოყრის მიზნით, საშუალებას იძლევა საჭიროების შესაბამისად აღირიცხოს სხვადასხვა მონაცემი.



მონაცემთა შეტანის და დამუშავების პორტალი
apps.mia.gov.ge

✓ ვიდეო ანალიზატორი

საგამოძიებო მიზნების უზრუნველსაყოფად, ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზისთვის შექმნილია აპლიკაცია ვიდეო ანალიზატორი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მომხმარებლის მიერ პროგრამაში ატვირთულ ვიდეო კადრში განახორციელოს პირ(ებ)ის იდენტიფიცირება.

✓ სატელეფონო ამონაწერების ანალიზატორი

საგამოძიებო სამსახურების საჭიროებისათვის შექმნილია მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორებისაგან შესაბამისი წესით მოწოდებული სატელეფონო ამონაწერების (ზარი, sms) ანალიზის სისტემა, რომელიც სხვადასხვა ატრიბუტის მეშვეობით, აბონენტებს შორის კავშირ-რელაციების გამოვლენას ახორციელებს.



ანალიტიკური პროგრამა
qlik.mia.ge

✓ მონაცემთა ანალიტიკური დამუშავების და ვიზუალიზაციის პროგრამა

პროგრამა საშუალებას იძლევა საჭიროებისამებრ დამუშავდეს როგორც მონაცემთა სხვადასხვა ბაზებში არსებული, ასევე, იმპორტირებული მონაცემები და შეიქმნას შესაბამისი პროექტები. მაგალითად, სახელმწიფო საზღვრის კვეთის სტატისტიკურ მონაცემთა საძიებო პროგრამა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკის ინსტრუმენტი, სხვადასხვა დანაშაულის პროფილი საჭიროების/მოთხოვნის შესაბამისად ამასთან, პროგრამა საშუალებას იძლევა განხორციელდეს გეოგრაფიული ლოკაციების (კოორდინატები) ვიზუალიზაცია და სხვ.



სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების ელექტრონული პროგრამები
e-enforcement.ge; cis.gov.ge

✓ სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების ელექტრონული პროგრამები (ძველი და ახალი ვერსია) საშუალებას იძლევა მოძიებულ იქნეს ინფორმაცია რეგისტრირებული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ. ამასთან, გამოძიების ელექტრონული პროგრამის ახალი ვერსია (cis.gov.ge) მეტად განვითარებულია და

სხვადასხვა მონაცემის ავტომატიზებული ექსპორტის საშუალებას იძლევა, რაც შემდგომ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის ანალიტიკურად დამუშავების შესაძლებლობას ქმნის.



საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღრიცხვიანობის ახალი მოდული

- ✓ საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, სამინისტროს მიერ მომზადდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღრიცხვიანობის ახალი მოდული, რომელიც გულისხმობს საქართველოს მასშტაბით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღრიცხვის ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნას. მოდული აკმაყოფილებს ევროკავშირის CADaS (კადას) სტანდარტის მოთხოვნებს. ახალი პროგრამა საშუალებას იძლევა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ხელშემწყობი ფაქტორებისა და გარემო პირობების შესახებ მოძიებულ იქნას მეტად დეტალიზებული ინფორმაცია. პროგრამა სატესტო რეჟიმში ამუშავდა ისანი-სამგორის სამოქმედო ტერიტორიაზე. 2020 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, სამინისტროს აკადემიის მიერ გადამზადდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი შემადგენლობა.

მიუხედავად პროგრამული კუთხით ხელსაყრელი სიტუაციისა, სამინისტროში არსებული ტექნიკური ინფრასტრუქტურა საჭიროებს რეგულარულ და მნიშვნელოვან განახლებას, იმდენად, რამდენადაც მუდმივად იზრდება სამინისტროს მიერ აკუმულირებული მონაცემების მოცულობა და, ამასთან, დროის გარკვეულ პერიოდში ხსენებული ინფრასტრუქტურა განიცდის მნიშვნელოვან ამორტიზაციას.

ინფორმაციის გაცვლის გაფართოებულ შესაძლებლობას, ასევე, წარმოადგენს საზღვარგარეთ წარგზავნილი პოლიციის 16 ატაშე, მათ შორის, მეკავშირე ოფიცრები ევროპოლსა და ნატოში, რომელთა მიერ ჯამში დაფარულია 23 სახელმწიფო. შედეგად, უმჯობესდება საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ოპერატიული ინფორმაციის მიმოცვლა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს მონაცემთა ხელმისაწვდომობის და გარკვეული სახელმწიფო უწყებებიდან მათი მოწოდების ეფექტიანობის ნაკლებობა, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს არა მხოლოდ საპოლიციო მონაცემების გაციფროვნების პროცესს, არამედ წარმოადგენს ბარიერს ზოგადად ელექტრონული მმართველობის კუთხითაც, რაც, თავის მხრივ, ეფექტიანი მმართველობის განუყოფელი ნაწილია. ასევე აღსანიშნავია, რომ გარკვეული დოკუმენტური ინფორმაცია (მატერიალური) არ არის წარმოდგენილი ელექტრონული სახით და არ არის განთავსებული მონაცემთა შესაბამის ბაზებსა და საინფორმაციო სისტემებში.

გარდა ამისა, ამ ტიპის ბაზების ოპერირების პროცესის აუცილებელი წინაპირობაა უსაფრთხოების შესაბამისი დონის უზრუნველყოფა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს უნდა გააჩნდეთ უწყვეტი ფუნქციონირების რესურსი (redundancy) და გაზრდილი კიბერ საფრთხეების ფონზე, დაცვის სათანადო დონე, ხოლო, კიბერ შეტევის ან სხვა სახის კიბერ ინციდენტის შემთხვევაში, უმოკლეს ვადებში უნდა განხორციელდეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (back up and contingency plans).

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი ქმნის და მუდმივად ავითარებს სხვადასხვა პროგრამულ პლატფორმებსა თუ გადაწყვეტებს, მხოლოდ აღნიშნული დანაყოფი ვერ შეძლებს ავტონომიურ რეჟიმში შექმნას სამინისტროსათვის საჭირო ყველა პროგრამული საშუალება. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ შეუძლებელია სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი უკეთესად იყოს ინფორმირებული კონკრეტულ საპოლიციო საშუალებებზე, ვიდრე სამინისტროს შესაბამისი (ოპერატიული) დანაყოფი, რომელიც წარმოადგენს ყოველდღიურ სამართალდაცვით საქმიანობაში აღნიშნული რესურსების უპირველეს მოსარგებლეს. შესაბამისად, სასურველია მონაცემთა ბაზებისა და პროგრამული უზრუნველყოფის მომხმარებელთა მხრიდან იყოს შედარებით მეტი უკუკავშირი და ხდებოდეს შემდგომი განვითარებისთვის საჭირო ამოცანების დასმა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტისათვის.

2.4 სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო

საკანონმდებლო კუთხით, საქართველოში ILP მოდელის ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის საკმაოდ ხელსაყრელი პირობებია, რადგან, სხვა ქვეყნებთან შედარებით, შესაძლებელია სამართლებრივი ცვლილებების მოკლე დროის პერიოდში განხორციელება. აგრეთვე, არსებული სამართლებრივი ჩარჩო არ აფერხებს ინიციატივებს სხვადასხვა დარგობრივი სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შემდგომი შესწორების ან შემუშავების შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გასათვალისწინებელია, რომ ანალიტიკური საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებისათვის საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა/განახლება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სამინისტროს საინფორმაციო და ანალიტიკური საქმიანობა, ასევე, რეგულირდება საქართველოს კანონით „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ მოიცავს სამინისტროსათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ელექტრონული სახით შენახვის შესაძლებლობას (მონაცემთა ბაზაში აღრიცხვა) და გაზიარებას. საპოლიციო საქმიანობის თითქმის ყველა ასპექტის შეზღუდვა სახელმწიფო საიდუმლოების რეგულაციებით, პრაქტიკაში დიდ პრობლემებს ქმნის ინფორმაციის გაზიარებისა და წვდომის კუთხით. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ განხორციელდეს რიგი საკითხების დერეგულაცია „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონიდან და მისი პრაქტიკაში იმპლემენტაცია განხორციელდეს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის სამართალდამცავი უწყების სამოქმედო ძირითად საკანონმდებლო ჩარჩოს. აღნიშნული არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის საკვანძო მოთხოვნათა უგულვებელყოფას, რომელიც აუცილებლად გავრცელდება სამინისტროს საქმიანობის ყველაზე სენსიტიურ ნაწილზე (მაგ. ფარული საგამოძიებო მოქმედებები, კონფიდენტთა მართვა და ა.შ.).

საპოლიციო საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოდან განსაკუთრებით პრობლემურია ის ნორმატიული აქტები, რომლებიც წესით უნდა განსაზღვრავდნენ პოლიციის პრევენციულ უფლებამოსილებებს. აღნიშნულ სამართლებრივ ჩარჩოს მიეკუთვნება ორი ძირითადად საკანონმდებლო აქტი - საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“ და საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“. მითითებულ საკანონმდებლო აქტებში ნაკლებია ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც პოლიციას მისცემდა დანაშაულებრივ საფრთხეებზე პროაქტიური რეაგირების

საშუალებას იქამდე, ვიდრე მოხდება ამ დანაშაულებრივი საფრთხეების რეალიზება. ევროკავშირის ქვეყნებში სასწავლო ვიზიტებისას და ასევე ამ ქვეყნებიდან მოწვეულ ექსპერტებთან შეხვედრისას, საქართველოში კრიმინოგენური ვითარების ანალიზის კონტექსტში მათ მიერ არაერთხელ იქნა მითითებული იმ გარემოებაზე, რომ არსებული საკანონმდებლო ჩარჩო დანაშაულის პრევენციის კუთხით არაეფექტურია და საჭიროებს არსებულ გამოწვევებზე მორგებას. შესაბამისად, სამომავლოდ დანაშაულთა თავიდან აცილების მიზანი ძირითადად შემოიფარგლება ჩადენილ დანაშაულებზე მხოლოდ რეაქტიური რეაგირებით.

ამრიგად, საჭიროა ზემოაღნიშნული კანონების ევროკავშირის საუკეთესო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ კი, აუცილებელია, რომ განახლებული საკანონმდებლო ჩარჩო მკაცრი კონტროლისა და მონიტორინგის პირობით უშვებდეს დანაშაულის მცისიერ და რეალურ საფრთხესთან ბრძოლის მიზნით მთელი რიგი საპოლიციო ინსტრუმენტების პრევენციულად გამოყენებას. წარმოდგენილი რეფორმის აქტიურ ექსპერტული მხარდაჭერა დაგეგმილია როგორც ევროკავშირის, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან.

3. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვის მიზნით განსახორციელებელი ამოცანები

3.1 სამინისტროში ანალიტიკური მიმართულებით არსებული ორგანიზაციული მოწყობის ოპტიმიზაცია

სამინისტროს შემადგენლობაშია 11 ტერიტორიული ორგანო, რომელთაგან ანალიტიკოსის საშტატო ერთეული ამჟამად თბილისის და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტებშია გათვალისწინებული. ისეთ მდგრად სისტემაში, როგორც საპოლიციო სისტემა, სიახლეების დანერგვა და საქმიანობის ჩვეული ფორმის შეცვლა დაკავშირებულია სირთულეებთან. შესაბამისად, ILP-ის, როგორც სიახლის დანერგვისას, ყურადღებით და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, სწორად უნდა შეირჩეს ის ორგანიზაციული ჩარჩო, რომელიც შეძლებისდაგვარად ოპტიმალურად იმუშავებს და უზრუნველყოფს მოდელის წარმატებულ გავრცელებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ILP-ის დანერგვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ცენტრალიზებული, ასევე დეცენტრალიზებული ან შერეული მოდელით, რაც ორგანიზაციული მოწყობის განსხვავებულ მიდგომებს გულისხმობს. შერეული მოდელი დანაყოფების იერარქიულ ურთიერთდაქვემდებარებასა და გარკვეულ ურთიერთმიმართებას გულისხმობს, როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ დონეზე. აღსანიშნავია, რომ არსებული მომენტისათვის ქ. თბილისისა და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტებში რეალიზებულია ზემოაღწერილი შერეული მოდელის მსგავსი მიდგომა, რომლის ფარგლებშიც, ტერიტორიული ორგანოსა და ტერიტორიული ერთეულების დონეზე, დანიშნულნი არიან ანალიტიკოსის ფუნქცია-მოვალეობის შემსრულებელი პირები. შედეგად, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში, ანალიტიკურ საქმიანობას ახორციელებს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველო (ასევე, დეტექტივების მთავარი სამმართველო - 3 ანალიტიკოსი), ხოლო მის ტერიტორიულ ერთეულებში - (მთავარი სამმართველო) ანალიტიკოსი. არსებულ რეალობასთან მაქსიმალური თავსებადობის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან, დასახელებულმა სქემამ აპრობაციის დამაკმაყოფილებელ ხარისხს უკვე მიაღწია, ILP-ის წარმატებული იმპლემენტაციის,

დანაყოფებს შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობისა და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, ანალიტიკოსების საქმიანობის ორგანიზაციული მოწყობა არსებული მოდელის გარკვეული კორექტურით, თუმცადა, კვლავ შერეული მიდგომით განხორციელდეს. კერძოდ, ანალიტიკოსის ფუნქცია-მოვალეობის შემსრულებელი პირი ანალიტიკურ საქმიანობას განახორციელებს, როგორც ტერიტორიული ორგანოს ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში, ამავდროულად, შიდაუწყებრივ, მიკრო დონეზე (დეპარტამენტი; მთავარი სამმართველო; სამმართველო...) და სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტთან კოორდინირებულად. შედეგად, ტერიტორიული ერთეულის ანალიტიკოსი, უშუალოდ დაექვემდებარება დანაყოფის ხელმძღვანელს, თუმცა ანგარიშვალდებული იქნება ტერიტორიული ორგანოს (დეპარტამენტის) ანალიტიკურ ჯგუფთან. ანალიზის მწარმოებელ დონეებს შორის კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, ყველა დონის ანალიტიკოსის საქმიანობის წესი და ურთიერთანგარიშვალდებულება შესაბამისი სამართლებრივი აქტით განისაზღვროს/დამტკიცდეს.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია განისაზღვროს უწყების მასშტაბით ანალიტიკოსის ფუნქცია-მოვალეობის შესასრულებლად გამოსაყოფი საჭირო საკადრო შემადგენლობა. ვინაიდან, ანალიტიკოსის საქმიანობის დატვირთულობას, მეტწილად, დანაყოფის ტერიტორიაზე არსებული კრიმინოგენური ვითარება განაპირობებს, კადრების აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრისთვის, მიზანშეწონილია დანაყოფში რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობის გათვალისწინება. ამასთან, რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა, მეტწილად, დანაყოფის სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის რაოდენობის პირდაპირპროპორციულია და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

ანალიზის და ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების დონეები

დოკუმენტის მიზნებისთვის, განხილულ დანაყოფებს შორის დაქვემდებარებისა და ანგარიშვალდებულების ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, ანალიტიკური საქმიანობის მწარმოებელი სუბიექტების დონეების და ანალიზის სახეების განმარტება.

ანალიზის სახეები დიფერენცირებულია სამ კატეგორიად, კერძოდ:

ტაქტიკურ-ოპერატიული ანალიზი - ორიენტირებულია კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის საპოლიციო საქმიანობის, გამოძიების და ოპერატიული საქმიანობის საინფორმაციო-ანალიტიკურ მხარდაჭერაზე. ტაქტიკურ-ოპერატიული ანალიზი მიმართულია მცირე სამოქმედო არეალში, მოკლევადიანი საკითხების/პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისაკენ. ამასთან, საქმიანობა მოიცავს ტერიტორიული ერთეულის სამოქმედო ტერიტორიაზე კრიმინალური ჯგუფების და მისი წევრების იდენტიფიცირებას/პროფილირებას, კრიმინალური კავშირების დადგენას/საერთო სურათის შექმნას, არსებული კრიმინოგენური ვითარების მოკლევადიან შეფასებას/ანალიზს და დანაყოფის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა პრობლემური საკითხების გამოვლენას/კვლევას. შედეგად, იწარმოება შესაბამისი ანალიტიკური პროდუქტები ტერიტორიული ერთეულის მასშტაბით.

ტაქტიკურ-საოპერაციო ანალიზი - საქმიანობის ძირითად მიზანს პოლიციის რესურსების პრიორიტეტების შესაბამისად ოპტიმალური გადაწყვეტილების შესახებ, მენეჯმენტის ინფორმირება და რეკომენდაციების შემუშავება წარმოადგენს. ტაქტიკურ-

საოპერაციო ანალიზი უზრუნველყოფს დანაყოფის პერსონალის დატვირთულობის, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის და სხვა რესურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება/სისტემატიზაცია/დამუშავებას და შესაბამისი ანგარიშების მომზადებას. ანალიზის აღნიშნული ტიპი, შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ტერიტორიული ორგანოების და ტერიტორიული ერთეულების, ასევე ქვეყნის მასშტაბით.


სტრატეგიული ანალიზი - ორიენტირებულია სამართალდამცავი სისტემის გრძელვადიან მიზნებზე, საერთო პრიორიტეტების განსაზღვრასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობაზე. სტრატეგიული ანალიზი მოიცავს ფართო ტერიტორიული და ქვეყნის მასშტაბით, გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, პოლიტიკის ეფექტიან განსაზღვრასა და დაგეგმვას.

ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები იყოფა სამ დონედ, კერძოდ:

III დონე - რაიონული დონე (ტერიტორიული ერთეული) - აწარმოებს ტაქტიკურ-ოპერატიულ და ტაქტიკურ-საოპერაციო ანალიზს ტერიტორიული ერთეულის სამოქმედო ტერიტორიის შესაბამისად;

II დონე - რეგიონალური დონე (სამინისტროს ტერიტორიული ორგანო; სტრუქტურული ქვედანაყოფი (სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი) და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება (საქართველოს სასაზღვრო პოლიცია)) - აწარმოებს ტაქტიკურ-ოპერატიულ, ტაქტიკურ-საოპერაციო და სტრატეგიულ ანალიზს სამოქმედო ტერიტორიის და დებულებით მინიჭებული კომპეტენციის შესაბამისად;

I დონე - ეროვნული მასშტაბი (სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი) - აწარმოებს სტრატეგიულ და ტაქტიკურ-საოპერაციო ანალიზს ეროვნულ დონეზე, საჭიროების შემთხვევაში, ასევე - ტაქტიკურ-ოპერატიულ მხარდაჭერას.



დიაგრამა 2: სამინისტროში ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების დონეები.

სამინისტროში ILP-ის იმპლემენტაციის საწყის ეტაპზე ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების ორგანიზაციული მოწყობის ოპტიმიზება, სტრატეგიის მოქმედების ვადის გათვალისწინებით, დაგეგმილია სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მიმართულებით. შესაბამისად, ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელი III დონის სუბიექტები წარმოდგენილია სამინისტროს 11 ტერიტორიული ერთეულის დონეზე. აღნიშნული სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შედეგების შეფასების საფუძველზე, ILP-ის განვითარების შემდეგ ეტაპზე, შესაბამისი ცვლილებები, მათ შორის, ორგანიზაციული მოწყობის ოპტიმიზების კუთხით, დაიგეგმება საპატრულო პოლიციის და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტებში, ასევე სასაზღვრო პოლიციაში.

ILP-ის წარმატებული იმპლემენტაციის, დანაყოფებს შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობისა და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია განსაზღვროს ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელი დანაყოფი/პირების მუშაობის მეთოდოლოგია:

I დონე - ეროვნული დონე

ანალიტიკური საქმიანობა მიმართულია სამინისტროს გრძელვადიან მიზნებზე, რაც მოიცავს სამინისტროს დანაყოფების პრობლემების იდენტიფიცირებას, პრიორიტეტების განსაზღვრას, პოლიტიკის ეფექტიან დაგეგმვასა და რეკომენდაციების შემუშავება/გაცემას;

ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის სტანდარტიზაცია, სისტემატიზაცია, ზედამხედველობა და ხელშეწყობა;

სხვადასხვა დანაყოფებიდან მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაცია, ანალიზი და სტრატეგიული დონის საინფორმაციო/ანალიტიკური პროდუქტების წარმოება;

საჭიროების/მოთხოვნის შესაბამისად სხვა საკითხებზე ანალიზის წარმოება.

II დონე - რეგიონალური დონე

რეგიონის ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, პრიორიტეტების განსაზღვრა, პოლიტიკის ეფექტიანი დაგეგმვა და რეკომენდაციების შემუშავება/გაცემა;

დაქვემდებარებული დანაყოფების საპოლიციო საქმიანობის, გამოძიების და ოპერატიული საქმიანობის საინფორმაციო-ანალიტიკური მხარდაჭერა, რეგიონის პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა;

დაქვემდებარებულ დანაყოფებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის სისტემატიზაცია, ზედამხედველობა და ხელშეწყობა;

დაქვემდებარებული დანაყოფებიდან მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაცია, ანალიზი და შესაბამისი საინფორმაციო/ანალიტიკური პროდუქტების წარმოება;

დანაყოფის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული კრიმინოგენური ვითარების შეფასება/ანალიზი;

გამოძიების და ოპერატიული საქმიანობის მხარდასაჭერად, სამოქმედო ტერიტორიაზე კრიმინალური ჯგუფების და მისი წევრების იდენტიფიცირება/პროფილირება, კრიმინალური კავშირების დადგენა/საერთო სურათის შექმნა;

რეგიონის მასშტაბით რესურსების პრიორიტეტების შესაბამისად ოპტიმალური გადანაწილების შესახებ მენეჯმენტის ინფორმირება და რეკომენდაციების შემუშავება;

დანაყოფის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა პრობლემური საკითხების გამოვლენა/კვლევა.

III დონე - რაიონული დონე

მოკლევადიან საკითხებზე ორიენტირება მცირე სამოქმედო არეალში, უშუალოდ ტერიტორიული ერთეულის სამოქმედო ტერიტორიაზე;

რაიონის ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, პრიორიტეტების განსაზღვრა და რეკომენდაციების შემუშავება/გაცემა;

დანაყოფში მომხდარი დანაშაულის/სამართალდარღვევის/ინციდენტების შესახებ ინფორმაციის მოძიება, შეგროვება, სისტემატიზაცია, შეფასება და ანალიზი;

დანაშაულის/სამართალდარღვევების ტენდენციების, მათი ხასიათისა და მასშტაბის, ერთმანეთთან დაკავშირებული დანაშაულებისა და ინციდენტების, დანაშაულის ცხელი წერტილების და დამნაშავეთა/დანაშაულებრივი ქმედების საერთო მახასიათებლების იდენტიფიცირება და ანალიზი;

დანაშაულებრივი ქსელის, ინდივიდების და კრიმინალური ჯგუფების შესახებ მონაცემების შეგროვება-ანალიზი;

დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი და გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირება, არსებული, ახალი ან მზარდი კრიმინოგენური პრობლემების განსაზღვრა, დანაშაულთან ბრძოლის, მისი პრევენციისა და შემცირების შესაძლებლობების იდენტიფიცირება;

დანაყოფის პერსონალის დატვირთულობის, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და სხვა რესურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება/სისტემატიზაცია/დამუშავება და შესაბამისი ანგარიშების მომზადება;

დანაყოფის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა პრობლემური საკითხების გამოვლენა/კვლევა.

ანალიზის მწარმოებელ დონეებს შორის ინფორმაციის შეუფერხებელი მიმოცვლის და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია ყველა დონის ანალიტიკოსის საქმიანობის წესი და ანგარიშვალდებულება შესაბამისი სამართლებრივი აქტით განისაზღვროს/დამტკიცდეს.

ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტებს შორის ინფორმაციის მიმოცვლა შესაძლებელია განხორციელდეს:

ყოველდღიური, ყოველთვიური, კვარტალური, 6 თვეში ერთხელ/წლის შემაჯამებელი: რაიონული დონიდან სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოში, რომელიც აყალიბებს დეპარტამენტის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საერთო კრიმინოგენურ სურათს და აწვდის სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს;

ცალკეულ შემთხვევებში, ინფორმაციის სწრაფი მოძიების მიზნით, შესაძლებელია, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი უშუალო კომუნიკაციაში იმყოფებოდეს ანალიტიკოსებთან;

ინფორმაციის აღრიცხვის ერთიანი პლატფორმის შექმნის შემდგომ, თითოეული დონის ანალიტიკოსს, საშუალება ექნება მიმდინარე რეჟიმში, საჭიროების შესაბამისად, გაეცნოს კრიმინოგენური ვითარების ამსახველ მონაცემებს ყველა ტერიტორიულ დონეზე;

ამასთან, ანალიტიკური დოკუმენტის შინაარსის შესაბამისად, მიმოცვლის წესი შესაძლებელია განხორციელდეს 2 მეთოდით:

1. ზოგადი ანალიტიკური დოკუმენტები განთავსდეს სამინისტროს შიდა საინფორმაციო პორტალზე;
2. ანალიტიკური დოკუმენტი განთავსდეს საერთო მონაცემთა პორტალზე/ბაზაზე შესაბამისი დაშვების როლების გათვალისწინებით, რომლის დახმარებითაც დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება კონკრეტული ადრესატებისთვის.

3.1.1 ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვის პროცესში ჩართული დანაყოფების კოორდინაცია

ILP-ის სამუშაო ჯგუფმა ეროვნული, რეგიონალური და რაიონული დონის ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტებისთვის უნდა შეიმუშავოს ამოცანების ზოგადი აღწერილობა და შესაბამისი ანგარიშგების ფორმები.

ორგანიზაციული მოწყობის შესახებ პროცედურების/პროცესების და მიმდინარე ორგანიზაციული რეფორმების შეფასება უნდა მოხდეს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: სამუშაო პროცესის ანალიზი, სამუშაო ადგილის ანალიზი, ანალიტიკური პროდუქტების ანალიზი და მათი მიზნობრიობა. კერძოდ კი, აღნიშნული ამოცანა გულისხმობს, რომ სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში უნდა განისაზღვროს ისეთი დანაყოფი, რომელიც უზრუნველყოფს ოპერატიული ქვედანაყოფებიდან მიღებული ინფორმაციის რეგულარულ ზედამხედველობას. აღნიშნული დანაყოფი აგრეთვე პასუხისმგებელი იქნება მთელი ქვეყნის მასშტაბით ოპერატიული ანალიზის ყველა ასპექტზე, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მდგომარეობის მრავალმხრივ მიმოხილვას, ასევე, გამოძიებისა და ოპერატიული საქმიანობის მხარდაჭერას ეროვნულ დონეზე.

აღნიშნულმა დანაყოფმა უნდა უზრუნველყოს კონსულტაციების გაწევა შესაბამისი ხელმძღვანელი რგოლისთვის და შეინარჩუნოს პროაქტიური მიდგომა. გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს კი პოტენციური საფრთხეებისა და

კრიმინალური მდგომარეობის სისტემატიური ანალიზი უნდა წარმოადგენდეს. აღნიშნული ემსახურება იმ ზოგადი მიზნის განხორციელებას, რომელსაც წარმოადგენს რეაქტიური საპოლიციო მიდგომის ნაცვლად, ფაქტებზე დაფუძნებული პროაქტიური მიდგომის გაძლიერებას.

სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ბაზაზე არსებულ შესაბამის დანაყოფს უნდა ჰქონდეს ორი ძირითადი ამოცანა, კერძოდ: პირველი - ოპერატიული თვალსაზრისით მდგომარეობის მიმოხილვა და კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების მხარდაჭერა, მეორე - რეგიონალური ოპერატიული ანალიზის დანაყოფების (უნდა შეიქმნას რეგიონალური პოლიციის დანაყოფების ბაზაზე) კოორდინირება და ზედამხედველობა (აღნიშნული მოიცავს სტრატეგიული და ოპერატიული მიზნებისათვის ინფორმაციის სტრუქტურირებულ შეგროვებას).

აღნიშნული დანაყოფები მჭიდრო ფუნქციურ კოორდინაციაში იქნებიან სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტთან, რეგიონალური ხელმძღვანელობის ზედამხედველობის პირობებში.

ორგანიზაციული მოწყობის კუთხით, აგრეთვე, მნიშვნელოვანია ქვედანაყოფებსა და უწყებებს შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა და ფუნქციების სწორად და ეფექტიანად გადანაწილება. შესაბამისად, უნდა მოხდეს ანალიტიკურ სამსახურებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლის სათანადო წესით ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიმოცვლის ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთან, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, უკვე ამოქმედებულია ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის რამდენიმე მთავარ სამმართველოში და წარმოადგენს ILP-ისთვის საჭირო ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. მართლწესრიგის ოფიცერთა პრევენციული საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის მიზნით, აუცილებელია დანაშაულის ანალიზის კუთხით მომუშავე ანალიტიკოსებთან თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაუმჯობესება/გაღრმავება. დანაშაულის ტენდენციების, სტატისტიკისა და ცხელი წერტილების გათვალისწინებით, შესაძლებელია პრევენციული ღონისძიებების ოპერატიულ დონეზე ეფექტიანად დაგეგმვა და განხორციელება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად განისაზღვრება ანალიტიკოსებისა და მართლწესრიგის ოფიცრების მჭიდრო კოორდინაციის ფორმატი. უნდა შემუშავდეს ანალიტიკური პროდუქტების საჭიროებებზე ორიენტირებული გავრცელებისა და წარმოების შესახებ შესაბამისი ინსტრუქცია, აგრეთვე საჭიროა სტრატეგიული და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიმღები პირების რეგულარული და სპეციალური შეხვედრების სტანდარტის დანერგვა.

3.2 ანალიზზე დაფუძნებული საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების განვითარება

ILP რეფორმის ფარგლებში შერჩეული საკადრო რესურსი სასურველია შედგებოდეს გამოცდილი გამომძიებლებისგან და ოპერატიული თანამშრომლებისგან, ისევე, როგორც, საჭიროების შემთხვევაში, სხვა მომიჯნავე პროფესიის პირებისგან, რომლებმაც იციან გამოძიებისა და ოპერატიული საქმიანობის საჭიროებები კონკრეტული სოციუმის სპეციფიკასთან ერთად და ორგანიზაციის სუსტი და ძლიერი მხარეები. ამასთან, ისინი უნდა ასრულებდნენ მენტორების როლს ახლადდანიშნული ანალიტიკოსებისათვის, რომლებსაც აქვთ დამატებითი ცოდნა სხვადასხვა შესაბამის დისციპლინებში (მაგ. სოციოლოგია, სტატისტიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ა.შ.), ხოლო

ტერიტორიულ დანაყოფებში, დასაქმებულ კადრებს უნდა ჰქონდეთ კარგი ცოდნა ტერიტორიაზე არსებული დანაშაულებრივი მოვლენების შესახებ.

ILP-ის ორგანიზაციული მოწყობის დაგეგმვისთვის გამოყენებულია სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების სამოქმედო ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის და 2019 წელს რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობრივი მაჩვენებლები. შესაბამისად 100 000 მოსახლეზე 1 რეგიონალური (II) დონის ანალიტიკოსი, ხოლო რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებლის გათვალისწინებით, თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში, რაიონულ (III) დონეზე, მინიმუმ 1 ანალიტიკოსი განისაზღვრა.

ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა წლის განმავლობაში 500 დანაშაულზე მეტია, საშუალოდ რეგისტრირებულ ყოველ 500 დანაშაულზე დამატებით 1 რაიონული (III) დონის ანალიტიკოსი განისაზღვრა.

ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის სამოქმედო ტერიტორიის სპეციფიკის, მოსახლეობის სიმჭიდროვის და რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობის გათვალისწინებით, რაიონული დონის ანალიტიკოსების რაოდენობის დაანგარიშება განხორციელდა განსხვავებული წესით. კერძოდ, თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში, რეგისტრირებულ ყოველ 1 000 დანაშაულზე 1 რაიონული (III) დონის ანალიტიკოსი განისაზღვრა.

გადანაწილების შემუშავებული გეგმის მიხედვით, სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში საჭირო ანალიტიკოსების რაოდენობა განისაზღვრა **128 თანამშრომლით**. აღნიშნული კადრების უმეტესობა დღევანდელი მდგომარეობით უკვე ასრულებს მსგავსი ტიპის ამოცანებს, საჭიროა მათი შემდგომი განვითარება და ერთიანი მოდელის დანერგვა.



თბილისი

მოსახლეობა: 1 184 800

რ/დანაშაული: 23 366

რ/დანაშაული 10 000 მოსახლეზე: 199.5

ტერიტორიული ერთეული: 5

ანალიტიკოსი სულ: 29

რეგიონალური ანალიტიკოსი (II დონე)	10
რაიონული ანალიტიკოსი (III დონე)	19
მათ შორის:	
ისანი-სამგორი	5
გლდან-ნაძალადევი	5
ვაკე-საბურთალო	4
ძველი თბილისი	3
დიდუბე-ჩუღურეთი	2



აჭარა

მოსახლეობა: 351 900

რ/დანაშაული: 7 556

რ/დანაშაული 10 000 მოსახლეზე: 216.5

ტერიტორიული ერთეული: 6

ანალიტიკოსი სულ: 14

რეგიონალური ანალიტიკოსი (II დონე)	3
რაიონული ანალიტიკოსი (III დონე)	11
მათ შორის:	
ბათუმი	4
ხელვაჩაური	2
ქობულეთი	2
შუახევი	1
ხულო	1
ქედა	1



იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი

მოსახლეობა: 516 100

რ/დანაშაული: 5 350

რ/დანაშაული 10 000 მოსახლეზე: 101.5

ტერიტორიული ერთეული: 16

ანალიტიკოსი სულ: 22

რეგიონალური ანალიტიკოსი (II დონე)	4
რაიონული ანალიტიკოსი (III დონე)	18
მათ შორის:	
ქუთაისი	3
წყალტუბო	1
სამტრედია	1
ზესტაფონი	1
ჭიათურა	1
ხონი	1
ბაღდათი	1
ამბროლაური	1
თერჯოლა	1
ტყიბული	1
ვანი	1
საჩხერე	1
ხარაგაული	1
ონი	1
ცაგერი	1
ლენტეხი	1



ქვემო ქართლი

მოსახლეობა: 434 200

რ/დანაშაული: 4 143

რ/დანაშაული 10 000 მოსახლეზე: 95.6

ტერიტორიული ერთეული: 7

ანალიტიკოსი სულ: 14

რეგიონალური ანალიტიკოსი (II დონე)		4
რაიონული ანალიტიკოსი (III დონე)		10
მათ შორის:	რუსთავი	3
	მარნეული	2
	გარდაბანი	1
	ბოლნისი	1
	თეთრიწყარო	1
	წალკა	1
	დმანისი	1



სამეგრელო, ზემო სვანეთი

მოსახლეობა: 311 100

რ/დანაშაული: 3 263

რ/დანაშაული 10 000 მოსახლეზე: 100.3

ტერიტორიული ერთეული: 9

ანალიტიკოსი სულ: 13

რეგიონალური ანალიტიკოსი (II დონე)		3
რაიონული ანალიტიკოსი (III დონე)		10
მათ შორის:	ზუგდიდი	2
	ფოთი	1
	სენაკი	1
	წალენჯიხა	1
	მარტვილი	1
	ხობი	1
	ჩხოროწყუ	1
	მესტია	1
	აბაშა	1



გურია

მოსახლეობა: 108 100

რ/დანაშაული: 1 340

რ/დანაშაული 10 000 მოსახლეზე: 122.5

ტერიტორიული ერთეული: 3

ანალიტიკოსი სულ: 4

რეგიონალური ანალიტიკოსი (II დონე)		1
რაიონული ანალიტიკოსი (III დონე)		3
მათ შორის:	ოზურგეთი	1
	ლანჩხუთი	1
	ჩოხატაური	1



შიდა ქართლი

მოსახლეობა: 255 100

რ/დანაშაული: 2 256

რ/დანაშაული 10 000 მოსახლეზე: 87.7

ტერიტორიული ერთეული: 6

ანალიტიკოსი სულ: 8

რეგიონალური ანალიტიკოსი (II დონე)	3
რაიონული ანალიტიკოსი (III დონე)	5
მათ შორის:	
გორი	2
კასპი	1
ხაშური	1
ქარელი	1



კახეთი

მოსახლეობა: 310 100

რ/დანაშაული: 2 128

რ/დანაშაული 10 000 მოსახლეზე: 68.1

ტერიტორიული ერთეული: 8

ანალიტიკოსი სულ: 11

რეგიონალური ანალიტიკოსი (II დონე)	3
რაიონული ანალიტიკოსი (III დონე)	8
მათ შორის:	
გურჯაანი	1
ლაგოდეხი	1
თელავი	1
სიღნაღი	1
ყვარელი	1
საგარეჯო	1
ახმეტა	1
დედოფლისწყარო	1



სამცხე-ჯავახეთი

მოსახლეობა: 152 100

რ/დანაშაული: 1 346

რ/დანაშაული 10 000 მოსახლეზე: 87.3

ტერიტორიული ერთეული: 6

ანალიტიკოსი სულ: 8

რეგიონალური ანალიტიკოსი (II დონე)	2
რაიონული ანალიტიკოსი (III დონე)	6
მათ შორის:	
ახალციხე	1
ბორჯომი	1
ახალქალაქი	1
ასპინძა	1
ადიგენი	1
ნინოწმინდა	1



მცხეთა-თიანეთი

მოსახლეობა: 93 300

რ/დანაშაული: 1 079

რ/დანაშაული 10 000 მოსახლეზე: 115.2

ტერიტორიული ერთეული: 5

ანალიტიკოსი სულ: 5

რეგიონალური ანალიტიკოსი (II დონე)	1
რაიონული ანალიტიკოსი (III დონე)	4
მათ შორის:	
მცხეთა	1
ყაზბეგი	1
დუშეთი	1
თიანეთი	1



ანალიტიკური სახის ინფორმაციის ეფექტიანი გამოყენების მიზნით, სასურველია ანალიტიკოსთა სპეციალიზაცია კონკრეტული დანაყოფის ოპერატიულ-საგამომიებო საჭიროებების შესაბამისად. დანაშაულთა სახეობების გათვალისწინებით, აღნიშნულის განხორციელებისთვის საჭიროა შემუშავდეს ანალიტიკოსთათვის განკუთვნილი სასწავლო-საბაზისო კურსი. აღნიშნული სასწავლო პროგრამა უნდა მოიცავდეს ტექნიკურ, მეთოდოლოგიურ და სამართლებრივ საკითხებს, ასევე, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგად სტრატეგიებსა და ტაქტიკას.

აუცილებელია, ILP-ის სამუშაო ჯგუფის მიერ შიდა საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს სამინისტროს მომსახურეთა ცნობიერების ამაღლებას. ანალიტიკური ციკლის/ანალიტიკური პროცესის საკითხებზე უნდა შემუშავდეს სახელმძღვანელო, რომელიც გამოყენებული იქნება სამუშაო ადგილზე და სწავლების პროცესში.

ადამიანური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისთვის საჭიროა ადაპტირებულ იქნას მეთოდები, როგორცაა ანალიზის სფეროში საერთაშორისო პროგრამების და ინიციატივების ინტენსიური გამოყენება (ორმხრივი ან CEPOL და სხვ.).

გარდა ამისა, უნდა დაინერგოს ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ოპერატიულ და საგამომიებო საქმიანობაში ჩართულ სამინისტროს მოსამსახურეთა უკუკავშირის ანალიტიკურ დანაყოფებთან გამოძიების ან ოპერატიული/სტრატეგიული რეაგირების ანალიზთან დაკავშირებით. უნდა მოხდეს კორპორატიული კულტურის ცვლილება ინფორმაციის გაზიარებისა და ინფორმაციის შენახვისთვის მზადყოფნის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ ანალიტიკური საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/დანაყოფი, სრულყოფილად უნდა ფლობდეს როგორც სამინისტროს შიდა საინფორმაციო-სამიებო ინსტრუმენტების, ასევე, ღია წყაროების დამუშავების მექანიზმებს. მაღალი ხარისხის ანალიტიკური პროდუქტების შესაქმნელად, აუცილებელია შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე ადამიანური რესურსის მოძიება და მათი შესაძლებლობების განვითარებაზე ზრუნვა. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, ანალიტიკოსების მომზადების საბაზისო მოდულის, ხოლო შემდგომ - გადამზადების პროგრამების შემუშავებას გულისხმობს.

ანალიტიკოსების მომზადების საბაზისო მოდულის წარმატებით დასრულების შემდგომ, მიზანშეწონილია, გაიცეს შესაბამისი სერთიფიკატი, რომლის საფუძველზეც პირს ექნება უფლებამოსილება განახორციელოს ანალიტიკური საქმიანობა. ILP-ის შემდგომი

გავრცელების პარალელურად, მიზანშეწონილია, ანალიტიკოსების სპეციალიზებული გადამზადება ცალკეულ რელევანტურ მიმართულებათა მიხედვით, მაგალითად: დანაშაულის ანალიზი, ტაქტიკურ-საოპერაციო ანალიზი, სერიოზულ და ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული საფრთხეების ანალიზი (SOCTA), მიმდინარე ანალიზი და სხვა; რის საფუძველზეც გაიცემა კონკრეტული სპეციალიზაციის დამადასტურებელი ანალიტიკოსის სერტიფიკატი. ამასთან, აუცილებელია ანალიტიკოსთა საქმიანობის შეფასებისა და კარიერული განვითარების მექანიზმების შემუშავება (მაგ.: უფროსი ანალიტიკოსის საშტატო ერთეულზე დაწინაურების პერსპექტივა).

უნდა განხორციელდეს კიბერუსაფრთხოების საჭიროებებსა და რისკებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით საჭირო ღონისძიებები სამინისტროს მოსამსახურეთათვის და განსაკუთრებით იმ ანალიტიკოსებისათვის, რომლებსაც უწევთ მუშაობა საიდუმლო ინფორმაციაზე.

პერიოდულად უნდა განხორციელდეს ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებასთან და მოდელებთან მუდმივი ადაპტირება, რაც გულისხმობს ძირითადი სასწავლო პროგრამების რეგულარულ განახლებას, სემინარების, შეხვედრებისა და სასწავლო ვიზიტების საშუალებით და აგრეთვე, სამაგიდო კვლევების მეშვეობით.

3.3 პროგრამული უზრუნველყოფის (მათ შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების) განვითარება

ტექნოლოგიის, როგორც ILP მეთოდის ფუნქციონირების ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტის შეუფერხებელი მუშაობისთვის აუცილებელია სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება კერძოდ, უნდა გაგრძელდეს პროგრამული ფუნქციონალის Maps.Pol.Ge-ის, შემდგომი მოდერნიზაცია.

საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) პერსონალის წინაშე მკაფიოდ უნდა მოხდეს მოთხოვნების ფორმულირება სხვადასხვა ბენეფიციარი ქვედანაყოფების მხრიდან.

ამასთან ერთად, უნდა გაუმჯობესდეს ურთიერთთავსებადობა ისეთ სისტემებს შორის, როგორცაა CrimCase-ი და სხვა აპლიკაციები, სტანდარტული ინტერფეისის შექმნისა და თავდაპირველი კოდების გაცვლის მეშვეობით.

უკანასკნელ პერიოდში სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ მნიშვნელოვან რეფორმას ახორციელებს საპოლიციო ძალების დისპეჩერიზაციის მიმართულებით. ამ პროცესში შესაბამისი მონაცემების დიგიტალიზაციის გზით ცენტრი, ერთის მხრივ, ხელს უწყობს მოქალაქისთვის საჭირო დახმარების აღმოჩენას პოლიციის მიერ ინციდენტზე რეაგირების დროის შემცირებითა და ცენტრალიზებული კოორდინაციის მეშვეობით, მეორეს მხრივ კი, დისპეჩერიზაციის პროცესების ავტომატიზაცია საჭირო მონაცემების შეგროვება/აღრიცხვის საშუალებასაც იძლევა, რაც არსებითად მნიშვნელოვანია საპოლიციო სერვისების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.

სამინისტრომ ზემოაღნიშნულ მონაცემთა პირველადი შეგროვების პროცესის ავტომატიზაციისა და ერთგვაროვნების მიზნით შეიმუშავა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის კონცეფცია (ePolice), რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საპოლიციო რესურსების სწორ და დროულ გადანაწილებას. ასევე, სამინისტროს ოპერატიული და საგამოძიებო დანაყოფები სისხლის სამართლისა თუ ადმინისტრაციული

ტიპის ინციდენტებს აღრიცხავენ მოცემულ სისტემაში სტანდარტიზებული კატეგორიების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ სისტემის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით, შემუშავებულ იქნა შესაბამისი ტექნიკური დავალება, რომლის განვითარების ტაქტიკა დაეფუძნა შემდეგ პრინციპებს:

მინიმალური ცვლილებებით სისტემის მაქსიმალური მორგება პოლიციის საქმიანობის არსებულ ბიზნეს-პროცესებზე;

მანუალური ოპერირების მინიმიზაცია;

საპატრულო პოლიციის პირადი შემადგენლობის მოტივირება მარტივად აღქმადი ინტერფეისით;

ინციდენტების პოსტ-ფაქტუმ რეგისტრაციის ინსტრუმენტის შექმნა;

პირადი შემადგენლობის დატვირთულობის შეფასების და წახალისების მექანიზმის ჩამოყალიბება.

პროექტის მიხედვით, აპლიკაციის ახალი ვერსიის ინტეგრაცია განხორციელდება სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის პროგრამულ უზრუნველყოფასთან, სამინისტროს საპატრულო პოლიციის ეკიპაჟების ბორტკომპიუტერების აპლიკაციასთან, სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის მოდულთან, საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემასთან (eFlow) და სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული საქმისწარმოების სხვა ელექტრონულ სისტემებთან. სამინისტროს საპატრულო პოლიციის ბორტკომპიუტერების ახალი აპლიკაცია, ეკიპაჟების მიერ გამოყენებულ სხვადასხვა სისტემებს (სადიებო, ჯარიმების გამოწერა, ინფორმაციის ფიქსაცია) გააერთიანებს ერთ მოდულში, მომხმარებელზე მორგებული გამარტივებული ინტერფეისით, ცოცხალი რუკის მოდულით და საქმიანობის გამარტივებისთვის - ვიზუალიზაციის ელემენტებით. სისტემაში ინციდენტების რეგისტრაცია, შეტყობინების რეგისტრაციიდან საბოლოო შედეგამდე განხორციელებული პროცესების სრულ სურათს, ხოლო, ხელმძღვანელი რგოლისთვის - ეკიპაჟების საქმიანობის, მათი გადაადგილების და საბოლოოდ კი დატვირთულობის მონიტორინგის სისტემას შექმნის. პროგრამის განვითარება დაიგეგმა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მიმართულებითაც, თუმცა არსებულ ბიზნეს-პროცესთან მაქსიმალური თავსებადობით. კერძოდ, ინციდენტზე მორეაგირე პასუხისმგებელი პირის მიერ, ინციდენტის დარეგისტრირება განხორციელდება საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eFlow) გამოყენებით - „ინციდენტზე რეაგირების ბარათი“. სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას, თანამშრომელთა დატვირთულობის გაზომვის მექანიზმის შექმნა წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, წახალისების სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობას ქმნის. ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად აუცილებელია ePolice-ის კონცეფციის სრულფასოვანი დანერგვა.

ინფორმაციის აღრიცხვის სტანდარტიზაციის, დანაყოფებს შორის მონაცემების წარმატებული მიმოცვლისა და ერთიანი სტატისტიკური/ანალიტიკური დოკუმენტების წარმოების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ტაქტიკურ-ოპერატიული დონის ანალიტიკოსის მიერ ინფორმაციის აღრიცხვა განხორციელდეს სისტემატიზებული ფორმით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია მონაცემთა აღრიცხვის ერთიანი პლატფორმის ფორმირება. ტაქტიკურ-ოპერატიული დონის ანალიტიკოსის მიერ, მონაცემთა აღრიცხვის ერთიანი პლატფორმაზე, ყოველდღიურ რეჟიმში უნდა აღრიცხოს

მძიმე, განსაკუთრებით მძიმე და მომატებული კრიმინალური ზეგავლენის მქონე დანაშაულის შესახებ ინფორმაცია.

ინფორმაციის აღრიცხვის სტანდარტიზაციისა და ერთიანი სტატისტიკური/ანალიტიკური დოკუმენტების წარმოების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია შემუშავდეს სტატისტიკური/ანალიტიკური დოკუმენტების შაბლონური ფორმები, რომელთა წარმოება განხორციელდება შემდეგი პერიოდულობით: ყოველდღიურად, ყოველთვიურად, კვარტალურად, ექვს თვეში ერთხელ და წლის შემჯამებელი.

ტექნოლოგიური კუთხით არსებული ამოცანები მოიცავს სხვადასხვა მარეგულირებელი წესებისა და პროცედურების შემუშავებას. ამ კუთხით რეკომენდირებულია დაინერგოს CrimCase-ის სისტემაში მონაცემთა ტიპებისა და რეგისტრაციის მეთოდების შესახებ სტანდარტიზებული წესები. უნდა მოხდეს მონაცემთა დაცვის შესახებ წესების და ასევე, მონაცემთა კონკრეტულ წყაროსთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვების საჭიროებების გადახედვა.

აგრეთვე უნდა დაანგარიშდეს ILP-ის სამუშაო ადგილის (მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამული საჭიროებები) აღჭურვილობის თავდაპირველი შესყიდვის, შემდგომი განახლების, ტექნიკური მომსახურების, ლიცენზიის ღირებულების და პერიოდული (როგორც წესი ოთხ წელიწადში ერთხელ) ხელახალი ინვესტირებისათვის საჭირო მიახლოებითი ბიუჯეტი.

3.4 სამართლებრივი მარეგულირებელი ჩარჩო

გასათვალისწინებელია, რომ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა ხელს უნდა უწყობდეს პოლიციის მიერ დანაშაულის აღკვეთისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას. ასევე, ევროკავშირის კანონმდებლობის და სახელმძღვანელო პრინციპების აუცილებელი ნაწილი, სასურველია, დაინერგოს ეროვნულ კანონმდებლობაში.

მიზანშეწონილია, მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის ჰარმონიზაცია და სისტემატიზაცია, მათ შორის, პერსონალური მონაცემების სტანდარტების კუთხითაც.

სხვადასხვა სფერო საჭიროებს სამართლებრივი ჩარჩოს განახლებას:

- ანალიტიკოსთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

- ანალიტიკოსთა ფუნქცია-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტები;

- დანაყოფების ორგანიზაციული მოწყობის ჩარჩო და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები;

- ანგარიშგებისა და უკუკავშირის სტანდარტული ფორმები და სიხშირე.

4. მონიტორინგი და შეფასება

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პერიოდულ მონიტორინგს განახორციელებს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განვითარების მიზნით სამუშაო ჯგუფის

შექმნის შესახებ“ მინისტრის 2020 წლის 20 იანვრის №1/24 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სამინისტროს სისტემაში ILP-ის კუთხით არსებული სიტუაციის ანალიზი და შესაბამისი ანგარიშების შემუშავება (არანაკლებ 6 თვეში ერთხელ), აგრეთვე, ILP-ის განვითარების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგი, ამავე დოკუმენტის მოქმედების ვადით.